

დღის ასტროტურის მიმოხილვა

ჩატარების ადგილი:

40 სმ-იანი რეფრაქტორის შენობა (დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი)

მომსახურება მოიცავს:

1. სადემონსტრაციო დარბაზი

დამთვალეირებელი გაეცნობა ობსერვატორიის დაარსების ისტორიას, ქართული ასტრონომიის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს და მოვლენებს, დღევანდელობას და პერსპექტივებს. ეწვევა ობსერვატორიის დამაარსებლის, აკად. ევგენი ხარაძისა და პროფ. მიხეილ ვაშაკიძის კაბინეტებს.

2. 40 სმ-იანი ტელესკოპი

დამთვალეირებელი გაეცნობა ობსერვატორიის ერთ-ერთ უძველეს პროფესიონალურ ტელესკოპს - „40 სმ-იან რეფრაქტორს“ და მისი ასტრონომიული კომპის კონსტრუქციას, ციურ სხეულებზე დაკვირვების პრინციპებს და მათ თავისებურებებს. 40 სმ-იანი ტელესკოპი და შენობა, რომელშიც ის არის განთავსებული ატარებენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს.

3. სალექციო დარბაზი

ასტროგიდი მცირე სალექციო დარბაზში ატარებს პოპულარულ ლექცია-პრეზენტაციას მონიტორზე, თემაზე: „სამყაროს აგებულება და ევოლუცია“.